სტუდენტები კლინიკის შესახებ

<u>მოსაზრებები</u>

1. *„კლინიკაში მივიღე დამოუკიდებლად მუშაობის, საპროცესო დოკუმენტების შედგენის გამოცდილება,რაც ყველა იურისტისთვის მნიშვნელოვანია.*
   მადლობა ჩემს ტრენერ ადვოკატს, რომელიც ნამდვილად დამეხმარა ცოდნის გაღრმავებაში.“

2. *„თავდაპირველად, როდესაც კლინიკაში მოვედი, მოქალაქეებთან ურთიერთობისას აღმოჩნდა ისეთი სამართლებრივი საკითხები, რომლებთანაც იქამდე შეხება არასოდეს მქონია, რამაც, გარკვეულწილად, ჩემში დაბნეულობა გამოიწვია. თუმცა, ტრენერ-ადვოკატის დახმარებითა და საკუთარი ძალისხმევით, სულ რაღაც 3 თვეში მივხვდი, რომ არნიშნული საკითხები აღარ იყო ჩემთვის პრობლემატური და ეს სირთულეები დავძლიე, გავიზარდე პროფესიული თვალსაზრისით. ასევე თავიდან, რთული აღმოჩნდა მოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარება, რადგან ცხოვრებაში პირველად მომიწია ისეთ სტრესულ გარემოში ყოფნა, როგორიც აქ დამხვდა. აღმოვაჩინე ტენდენცია, რომ ჩვენი კლინიკის ბენეფიციარები, უმეტესად, საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენის წარმომადგენლები არიან, რომლებთან ურთიერთობაც და სამართლებრივი საკითხების მათთვის გაცნობა არის საკმაოდ რთული და დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუმცა, მოხარული ვარ, რომ ეს სიძნელეც დავძლიე და მათთან ურთიერთობის დამყარების უნარების განვითარების კუთხითაც გავიზარდე პროფესიულად, რაც ვფიქრობ მართლაც უმნიშვნელოვანესი უნარია ჩემი პროფესიისთვის.“*
   ჩემთვის კლინიკაში მიღებული ცოდნა/გამოცდილება იყო საკმაოდ მრავალფეროვანი და ყოვლისმომცველი, ის მოიცავდა იურისტისთვის ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პრაქტიკული უნარის განვითარებას, რაც ვფიქრობ მომავალში ჩემი პროფესიით მუშაობისას ფასდაუდებელ სამსახურს გამიწევს.“

3. *„საინტერესო იყო კლინიკის გავლა, ბევრი საინტერესო ადამიანი შემხვდა თავისი საინტერესო სამართლებრივი პრობლემატიკით, ასევე ძალიან კმაყოფილი ვარ ტრენერ ადვოკატით, რადგან ყველანაირად ცდილობდა განვითარებულიყავით და მიგვეღო პრაქტიკული გამოცდილება. წარმატებებს გისურვებთ ყველას.“*

4. *„საკმაოდ დიდი გამოცდილება მომცა კლინიკამ არა მარტო ამართლებრივი კუთხით, არამედ აშკარად გამიუმჯობესა კომუნიკაციის უნარები. ამასთანავე, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დადებით და მეგობრული გარემოში მიწევდა მუშაობა. რაც ძალიან ბევრს ნიშნავს.“*
5. *„კლინიკა იძლევა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამყარების შესაძლებლობას, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია შემდგომი კარიერული წინსვლისთვის.“*
6. „ვფიქრობ, სადაც არ უნდა დავიწყო მუშაობა აქ მიღებული ცოდნა/გამოცდილება ყველგან და ყველაფერში გამომადგება.“

7. *„პრაქტიკული ცოდნის მიღება ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში გაყენებს, ამიტომ ვთვლი, რომ ჩემს მიერ გავლილ პრაქტიკებს შორის ეს არის საუკეთესო და გამოსადეგი მომავალი კარიერისათვის.“*
8. *„გულწრფელად მინდა აღვნიშნო, რომ საქმიანობის ფარგლებში ყველანაირად გვერდით მედგა ჩემი ტრენერი - მაკა კობიაშვილი, რომელიც მეხმარებოდა სწრაფად, მარტივად და სიღრმისეულად გავმკლავებოდი და ამომეცნო მოქალაქეების პრობლემატიკა და გამეწია მათთვის კვალიფიციური მომსახურება. უბანზე შექმნილი მეგობრული გარემო და ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები დამეხმარა სრულად გამომევლინა ჩემი პოტენციალი.*

იურიდიულ სფეროში უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული უნარ-ჩვევები დ შექმნილ სამართლებრივ კაუზალური პრობლემის მარტივად ამოცნობა და სწრაფად და ხარისხიანად მასზე რეაგირება. კლინიკის ფარგლებში მოხდა სწორედ წინამდებარე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

წინამდებარე იურიდიულმა კლინიკამ შემძინა ძალიან დიდი გამოცდილება, როგორც პროფესიული , ასევე ცხოვრებისეული. სრულყო ჩემი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. მიმახვედრა, რომ არ უნდა გეშინოდეს რისკების და ახალი გამოწვევების. შემმატა თავდაჯერებულობა. სრულვყავი დროის სწორი მენეჯმენტის უნარ-ჩვევა. ვისწავლე სამართლებრივი პრობლემის სწრაფად და სწორად იდენტიფიცირება, ჩემი თეორიული ცოდნის მომენტალური მობილიზება შექმნილ სამართლებრივ პრობლემასთან გასამკლავებლად. წარმატებით შედგა და წარმატებითვე დასრულდა ჩემი დებიუტი რეალურ სასამართლო პროცესზე, რამაც დიდი გამოცდილება შემძინა, მასწავლა შექმნილ სიტუაციაში კანონის ფარგლებში სწრაფად ლავირება, სწრაფად რეაგირება და დეტალებისადმი მეტად ორიენტირებულობა. ასევე მინდა აღვნიშნო, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პლუსი გააჩნია მოცემულ კლინიკას - ეს არის საოცრად მეგობრული, უშუალო, პროფესიონალური ტრენერ-ადვოკატების გუნდი, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობდნენ შეექმნათ ჩვენთვის ხელსაყრელი გარემო, რომ მაქსიმალურად წარმოგვეჩინა ჩვენი პოტენციალი - რაც იყო და არის შედეგი კვალიფიციური იურიდიული დახმარების, რომელსაც მოქალაქეები მოცემული იურიდიული კლინიკის ფარგლებში იღებენ.

ასევე აღნიშვნის ღირსია, რომ შევიძინე ადამიანები, რომლებისგანაც ბევრი რამ ვისწავლე და გ გულწრფელად მიხარია, რომ ისინი ჩემი მეგობრები გახდნენ.

წარმატებებს ვუსურვებ მთელს გუნდს!"

9. *„კლინიკაში მიღებული გამოცდილებით შევძლებ დამოუკიდებლად გავწიო სამართლებრივი კონსულტაცია და შევადგინო ესა თუ ის სამართლებრივი დოკუმენტი.*
10. *„კლინიკის გავლა კარგი შანსია მიიღო გამოცდილება, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით.*
11. *„იურიდიული კლინიკა „ჩემი ადვოკატი" არის წარმატებული ორგანიზაცია და მისი არსებობა ამ ფორმით აუცილებელია. მოქალაქეთა მომართვიანობა ამაზე მეტყველებს.მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა, რაც ყველა სხვა ორგანიზაციასაც ახასიათებს, „ჩემი ადვოკატს" დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. ვუსურვებ ყველა თანამშრომელს და სტაჟიორს წარმატებებს და მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის."*
12. *„პროფესიულად გავიზარდე და რაც მთავარია ამჯერად თავისუფლად შემიძლია კონსულტაცია გაუწიო ნებისმიერ ბენეფიციარს,რისთვისაც მადლობელი ვარ ჩემი ტრენერ ადვოკატის ეკატერინე სოლოღაშვილის, ამ პროგრამის და ჩემი უნივერსიტეტის.*

   მიხარია, რომ სტუდენტებს ეძლევათ საშუალება თავისი შესაძლებლობების გამოვლენის."

13. *„კლინიკაში მიღებული ცოდნა-გამოცდილება გამომადგება მომავალში სამართლებრივი დოკუმენტების სწორ შედგენასა და სასამართლო პროცესზე თავდაჯერებულად გამოსვლაში.*

   აღნიშნული კლინიკა საკმაოდ კარგი პრაკტიკა იყო ჩემთვის, გამომიმუშავდა ის უნარჩვევები რაც ადვოკატს ესაჭიროება."

14. *„პრაქტიკა ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენს პროფესიაში და ვფიქრობ,რომ აქ არაჩვეულებრივი პრაქტიკა მივიღე.*

   კლინიკა იყო საინტერესო, პრაქტიკულად დატვირთული და ბევრის მომცემი."

15. *„კმაყოფილი ვარ და მოხარული ვარ,რომ მომეცა შესაძლებლობა ჩემი თავი უკეთ დამენახა, გამემახვილა ყურადღება ჩემს დადებით და უარყოფით თვისებებზე. უღრმესი მადლობაა იურიდიულ კლინიკა ჩემს ადვოკატს და ეკა სოლოღაშვილს."*
16. *„ძალიან კმაყოფილი ვარ კლინიკით, მივიღე დიდი გამოცდილება და გავიცანი საინტერესო ადამიანები."*
17. *„შევისწავლე და ავითვისე თითქმის ყველა პროფესიული, იურიდიული ჩვევა, რაც ძალიან სასარგებლოა ჩემი მომავალი პრაქტიკისათვის.*

კლინიკით ძალიან კმაყოფილი ვარ, ამ პროექტში მონაწილე ტრენერ-ადვოკატებიც და მოხალისეებიც დიდ დახმარებას უწევენ ხალხს, ვისურვებდი დიდხანს და აქტიურად გააგრძელოს კლინიკამ მუშაობა. დამატებით მინდა აღვნიშნო, რომ კლინიკას საუკეთესო თანამშრომლები ჰყავს.“

18. *„პრაქტიკა არის ძალიან მნიშვნელოვანი განსაკუთრებით იურისტების პროფესიაში, აქ მიღებული გამოცდილება კი დამეხმარება სასამართლოში საქმის წარმოებაში და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების სწორად შევსებაში.*

მადლობას ვუხდი ჩემს ტრენერ-ადვოკატს თითოეული დღისთვის, რომ მომცა ის პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა რაც არ მქონია კლინიკის გავლამდე, აგრეთვე იმ თბილი დამოკიდებულებისთვის რაც გამოიჩინა თავისი სტუდენტების მიმართ.“

19. *„სამართლის ნებისმიერ სფეროში გამოვიყენებ აქ მიღებულ პრაქტიკულ ცოდნას.“*

20. *„კლინიკაში მიღებულ ცოდნა/გამოცდილება უპირველეს ყოვლისა, დამეხმარება კლიენტთან ურთიერთობისას, რომ მაქსიმალურად მოკლე დროში მოვახსერხო მათთვის მნისვნელოვანი საკითხების გამოყოფა და კონსულტაციის გაწევა. გარდა ამისა, მივიღე თეორიული ცოდნა ი საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საუნივერსიტეტო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. უშუალოდ მიწევდა სარჩელებისა და საჩივრების შედგენა, რაც დამეხმარება საადვოკატო საქმიანობაში.*

მერიის კლინიკაში საკმაოდ დიდი და მრავალმხრივი გამოცდილება მივიღე. თეორიული ცოდნის გარდა, მნიშვნელოვანია იმ პრაქტიკული დეტალების ცოდნა, რომელიც მხოლოდ პრატიკოს ადვოკატს შეუძლია რომ მოგცეს და, რის გარეშეც, შეუძლებელია საადვოკატო საქმიანობის განხორციელება. 3 თვიანი პრაქტიკის ფარგლებში მომიწია სხვადასხვა სახის სარჩელებისა თუ საჩივრების შედგენა, სხვადასხა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა, მივიღე სასარგებლო რჩევები ტრენერ-ადვოკატისგან, რომელიც მომავალი საქმიანობისას ძალიან დამეხმარება.“

21. *„ეს ის საკითხებია, რაც ქალაქის მცხოვრებლებს ყოველდღიურად აწუხებთ, ამიტომაც ვთვლი რომ ეს ყველაზე დიდი პრაქტიკული გამოცდილებაა.“*

22. *„მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარება პრაქტიკული თვალსაზრისით. მაგალითად სამართლებრივი დოკუმენტაციის სწორად შედგენაში, მოქალაქეთათვის შესაბამისი სამართლებრივი დახმარების გაწევაში.“*

<u>შენიშვნები</u>

1. *„კარგი იქნება, თუ ,,ჩემი ადვოკატის'' შესახებ უფრო მეტი ადამიანი იქნება ინფორმირებული, რადგან პირადად ჩემს უბანზე, ხშირ შემთხვევაში, აშკარად იყო ბენეფიციარების სიმცირე. შესაბამისად, საქმეებიც ნაკლები იყო. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ბევრი გაიგებს ჩვენს კლინიკაზე, მით უფრო ბევრი და საინტერესო საქმე იქნება, რაც კლინიკის მომავალ სტუდენტებს უფრო დაეხმარება ცოდნის მიღებაში სხვდასხვა სამართლის კუთხით და გამოცდილების მხრივაც თავისთავად.“*

2. *„კარგი იქნება თუ ლექციებს სამშენებლო სამართალშიც ჩაატარებენ.“*

3. *„დამატებით, ვისურვებდი კლინიკამ ხელი შეუწყოს სტაჟიორების დასაქმებას.“*

4. *„ჩემს მიერ იურიდიულ კლინიკაში პრაქტიკის გავლის პერიოდში, კერძოდ მერიაში კონსულტაციის გაწევის დროს აღმოვაჩინე რამოდენიმე ხარვეზი რაც ვფიქრობ ამ ორგანიზაციაზე უარყოფითად აისახება. 1. ეს არის მოქალაქეების მიმართ გულგრილი ,*

ცივი და არასათანადო დამოკიდებულება. რათქმაუნდა ამას ინტენსიური ხასიათი არ ჰქონდა მაგრამ იყო ასეთი შემთხვევებიც, რაც არ შემიძლია არ ავღნიშნო.

2.ბენეფიციარებზე მომსახურების ხარისხში არ არის მაღალი. კერძოდ , ხდება თავის არიდება როდესაც საქმე სასამართლოში წარმომადგენლობას ეხება. ტრენერ ადვოკატთა ნაწილი შეგნებულად თავს არიდებს სასამართლოში წარმომადგენლობას.

3. სტუდენტს ავალდებულებენ სასამართლოში გააკეთოს წარმომადგენლობა ისეთ საქმეზე, რომელიც თავიდანვე ჩანს რომ შედეგი არ დადგება, ანუ მარტივად რომ ვთქვათ საქმე წამგებიანია. ვფიქრობ სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მას უფლება უნდა ჰქონდეს უარი თქვას ასეთ საქმეზე და ეს არ უნდა აისახოს მის შეფასებაში, თუკი მას პრაქტიკის გავლის პერიოდში კრედიტი უგროვდება.

იურიდიული კლინიკა „ჩემი ადვოკატი“ არის წარმატებული ორგანიზაცია და მისი არსებობა ამ ფორმით აუცილებელია. მოქალაქეთა მომართვიანობა ამაზე მეტყველებს.მიუხედავად მცირედეი ხარვეზებისა, რაც ყველა სხვა ორგანიზაციასაც ახასიათებს, „ჩემი ადვოკატს“ დიდი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის განვითარების საქმეში. ვუსურვებ ყველა თანამშრომელს და სტაჟიორს წარმატებებს და მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის.“

5. *„ვფიქრობ, მიღებული ცოდნით შეგიძლიათ დაასაქმოთ თითოეული სტუდენტი.“*

6. *„კლინიკა იყო საინტერესო, პრაქტიკულად დატვირთული და ბევრის მომცემი, თუმცა ვფიქობ, უკეთესი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა და იმ სტუდენტებს, რომლებიც ჩვენი პროფესიით ვმუშაობთ, სამუშაო გამოცდილებას ჩაგვითვლიდა კრედიტების რაოდენობაში.“*
7. *„ერთადერთი რაც შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას: კარგი იქნებოდა ტრენინგები ჩატარებულიყო კლინიკის დასაწყისშივე, კლინიკის მსვლელობის შუა პერიოდში ჩატარებულ ტრენინგები აღარ იყო იმდენად ინფორმაციული და ცოდნის მომცემი, რადგან ტრენინგების თემაკიტიკს უმეტესი ნაწილი უკვე კლინიკის ფარგლებში გავიარეთ და დავამუშავეთ. სხვა მხრივ ძალიან კმაყოფილი ვარ კლინიკით, მივიღე დიდი გამოცდილება და გავიცანი საინტერესო ადამიანები.“*

8. *„საინტერესო იქნებოდა თუ ტრენინგებს უფრო სხვა კუთხით ჩაატრებდით. იმ საკითხებზე რაც ყველა უნივერსიტეტში ისწავლება არ უნდა ჩატარდეს ტრენინგი, სამშენებლო საკითხები არის ძალიან პრობლემატური და მნიშვნელოვანი, რომელიც არ ისწავლება თითქმის არცერთ უმაღლე საგანმანათლებლო დაწესებულებაში.“*

9. *„კარგი კლინიკაა, გამოცდილებას ნამდვილად იძლევა. თუმცა, ვფიქრობ, უფრო ადრეულ საფეხურზე რომ იყოს გავლა სავალდებულო უკეთესი იქნებოდა სტუდენტთათვის. მაგალითად მე-2 კურსზე ან მე-3 დასაწყისში.“*

10. *„ვფიქრობ,მიღებული ცოდნით შეგიძლიათ დაასაქმოთ თითოეული სტუდენტი.“*

<u>რჩევები კლინიკის მომავალ სტუდენტებს:</u>

1. *„ყველა მომავალ სტუდენტს ვურჩევ, რომ აქტიურად ჩაერთონ კლინიკის საქმიანობაში, იქნება ეს ზეპირი კონსულტაციებსა თუ სამართლებრივი დოკუმენტების შექმნაში მონაწილეობა, არავითარ შემთხვევაში არ დარჩნენ პასიური მაყურებლის როლში და მხოლოდ ამგვარად შეძლებენ მიიღონ მათი პროფესიისთვის საჭირო უმნიშვნელოვანეს გამოცდილებას.“*
2. *„იყვნენ უფრო მეტად ჩართულები და ეცადონ რაც შეიძლება მეტი საქმე აიღონ კლინიკის ფარგლებში, რათა ცოდნა უფრო მეტად გაიღრმავონ და იყვნენ მომთმენნი ბენეფიციარებთან ურთიერთობის დროს.“*
3. *„ყოველდღე იარონ, არ იზარმაცონ, ყველა დოკუმენტი ყურადღებით წაიკითხონ, რამე თუ არ ეცოდინებათ აუცილებლად იკითხონ ტრენერ-ადვოკატთან.”*
4. *„ვურჩევდი ყველა სტუდენტს მაქსიმალურად ჩაერთონ პროცესში, იყვნენ კომუნიკაბელურნი, კორექტული ჰქონდეთ პროფესიონალური მიდგომა საქმისადმი და მოქალაქეებისადმი. იყვნენ მზად ახალი გამოწვევებისთვის და მობილიზებულად შეხვდნენ ყველა სიტუაციას. ასევე ვურჩევ მიიღონ მაქსიმუმი და მაქსიმალურად განვითარდნენ. გამოიყენონ კლინიკაში გატარებული დრო პროდუქტიულად, როგორც პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, ასევე ახალი მეგობრებარი-კოლეგების შეძენის კუთხით.“*
5. *„მაქსიმალურად გამოიყენონ კლინიკაში სტაჟირების პერიოდი და შეძლებისდაგვარად ჩაერთონ ქეისების განხილვა/გადაწყვეტის პროცესში.“*
6. *„სტუდენტებს ვურჩევდი გაითვალისწინონ ტრენერის მითითებები, იყვნენ შრომისმოყვარენი.“*
7. *„მაქსიმალურად მიიღეთ ტრენერ ადვოკატისგან ინფორმაცია. ყურადღება გაამახვილეთ ისეთ საკითხებზე რომელშიც თვლით რომ კარგად ვერ ერკვევით და ეცადეთ მიიღოთ ამ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია ტრენერ ადვოკატისგან. იყავით წარმატებულები.“*
8. *„სტუდენტებს ვურჩევდი მაქსიმალურად გამოიყენონ პრაქტიკის პერიოდი, შრომის შედეგად მიხვდებიან როგორ გაიზარდნენ პროფესიულად.“*
9. *„დაუჯერეთ და მოუსმინეთ ტრენერ-ადვოკატს.“*
10. *„სტუდენტებს ვურჩევდი მაქსიმალურად ჩაერთონ მუშაობის პროცესში. იყვნენ კონტაქტურები მობილიზებულები და გაითვალისწინონ ტრენერ-ადვოკატის რჩევები.“*
11. *„კლინიკის მომავალ სტუდენტებს ვურჩევ იყვნენ მაქსიმალურად დამოუკიდებლები, თავი არ აარიდონ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და მაქსიმალურად ჩაერთონ კლინიკის საქმიანობაში.“*
12. *„იყვნენ თავდაჯერებულები, გამოიჩინონ ენთუზიაზმი, თავი არ აარიდონ სამუშაოს და დავალებას იმ მოტივით, რომ გამოცდილება ან ცოდნა არ აქვთ კონკრეტულ სფეროში.*
13. *„იაქტიურონ, რაც შეიძლება მეტი საქმის მომზადებაში მიიღონ მონაწილეობა, იმიტომ რომ ეს მათ ძალიან გაზრდით პროფესიულად.“*
14. *„იყვნენ მაქსიმალურად მობილიზებულები, შეასრულონ ყველა დავალება გულდასმით, რომელსაც ტრენერ-ადვოკატები მისცემენ. მათ დახვდებათ არაჩვეულებრივი გარემო, საიდანაც შეუძლიათ მიიღონ მაქსიმალური პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა დღევანდელი სამართლებრივი გარემოს შესახებ.“*
15. *„მაქსიმალურად შეეცადონ გამოიყენონ შესაძებლობა და გამოთქვან თავისი აზრი პრობლემის გადაჭრასთან მიმართებაში.“*
16. *„სტუდენტებს ვურჩევდი: 1) დაფიქრდნენ სურთ თუ არა მომავალში ადვოკატად მუშაობა. 2) მონაწილეობა მიიღონ რაც შეიძლება მეტ სამართლებრივ პრობლემის გადაწყვეტაში 3)*

გაეცნონ სასამართლო პრაქტიკებს 4) ტრენერ-ადვოკატებს დაუსვან კითხვები სამართლებრივ საკითხებთან მიმართებით.“

17. *„მაქსიმალურად ჩაერთონ კლიენტებისთვის კონსულტაციის გაწევის პროცესში, ტრენინგების არსებობის შემთხვევაში, დაესწრონ ყველა ტრენინგს...“*
18. *„იყვნენ ყურადღებიანები, კლინიკის მიერ დანიშნულ ყველა ტრენინგს დაესწრონ და იკითხონ კანონები და უზენაესის გადაწყვეტილებები მათი ცოდნის გასაღრმავებლად. ძალიან კარგი პროექტია, და ვისურვებდი რომ ყველას ჰქონდეს კლინიკის გავლის საშუალება.“*